სსიპ საჯარო რეესტრის
ეროვნული სააგენტო

19 ნოემბერი 2025 B25162822/4

გადაწყვეტილება # B25162822/4 (19/11/2025 19:17:08)

სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებულ იქნა განცხადება #**B25162822** 18/11/2025 17:49:13 (განმცხადებელი: ვერიკო ბერეკაშვილი/01024078101/), რომლითაც მოთხოვნილია სუბიექტის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაცია.

სამართლებრივი ფორმა: **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**
დასახელება: **შპს იგლ ჰილს საქართველო**
საიდენტიფიკაციო კოდი: **404770011**

დ ა ს კ ვ ნ ა

1. სარეგისტრაციო წარმოება შეჩერდეს „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21.1.ა მუხლის შესაბამისად.
2. სარეგისტრაციო მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის:
2.1. წარმოსადგენია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესასაბამისად შედგენილი და დამოწმებული სარეგისტრაციო დოკუმენტაცია.
2.2. ასევე, წარმოსადგენია მოჰამედ ალი რაშიდ ალაბბარის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.
3. 30 კალენდარული დღის ვადაში დამატებითი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, სარეგისტრაციო წარმოება შეწყდება.

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

1. ვერიკო ბერიკიშვილის მიერ წარმოდგენილი განცხადებით მოთხოვნილია შპს იგლ ჰილს საქართველოს (ს/ნ404770011) წესდებისა და იურიდიული მისამართის ცვლილების რეგისტრაცია.

2. მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ საქმეში არსებული ყველა დოკუმენტაციის/ინფორმაციის შესწავლისა და ურთიერთშეჯერების შედეგად დადგინდა, რომ სარეგისტრაციოდ წარმოდგენილია შპს იგლ ჰილს საქართველოს (ს/ნ404770011) ერთპიროვნული დამფუძნებლის შპს იგლ ჰილს დეველოპმენტ ჰოლდინგს ლიმიტედის უფლებამოსილი წარმომადგენლის მოჰამედ ალი რაშიდ ალაბბარი, გადაწყვეტილება , რომელითაც ვერიკო ბერიკიშვილის უფლებამოსილება პარტნიორის სახელით დაესწროს კრებებს და მიიღოს გადაწყვეტილება პარტნიორის სახელით. წარმოდგენილი დოკუმენტაციით არ დგინდება მოჰამედ ალი რაშიდ ალაბბარის უფლებამოსილება წარმოადგინოს შპს იგლ ჰილს დეველოპმენტ ჰოლდინგს ლიმიტედი.
2.1 ასევე წარმოდგენილ სადამფუძნებლო სეთანხმებაში და წესდებაში ნებადართული და

განთავსებული კაპიტალი არ არის განსაზღვრული მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. კერძოდ, საზოგადოების განთავსებული კაპიტალი შეადგენს 10 000 ლარს, ხოლო ნებადართული კაპიტალ 1 000 ლარი.
„მეწარმეთა შესახებ „ საქართველოს კანონის თანახმად ნებადართული კაპიტალი არის კაპიტალის მაქსიმალური ოდენობა, რომლის ფარგლებშიც სააქციო საზოგადოებას შეუძლია მომავალში მიიღოს აქციების განთავსების შესახებ გადაწყვეტილება.ამდენად, სადამფუძნებლო შეთანხმებაში ,კაპიტალის მაქსიმალურ ოდენობად 1 000 ლარის მითითება ეწინააღმდეგება განთავსებული კაპიტალის ოდენობას.
2.2 ასევე წესდები 3.2 მუხლის ეწინააღმდეგება სადამფუძნებლო შეთანხმებასა და გადაწყვეტილებას. გადაწყვეტილების თანახმად საზოგადოებას აქვს 10 000 ცალი A კლასის განთავსებული წილი, ხოლო წესდებაში მითითებულია, რომ საზოგადოებას აქვს 10 000 ცალი A კლასის გამოშვებული წილი.
2.2 წესდების 3.2 მუხლის მიხედვით საზოგადოებას გამოშვებული აქვს A კლასის 10 000 წილი
3. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბერის №797 ბრძანებით დამტკიცებული „მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეგისტრაციის შესახებ“ ინსტრუქციის 20.2 მუხლის თანახმად, სუბიექტის რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების საფუძველია უფლებამოსილი პირის/ორგანოს სათანადო წესით მიღებული და დამოწმებული გადაწყვეტილება ან უფლებამოსილი პირების მიერ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით შედგენილი გარიგება.
4. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 86.2 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია წარმომადგენელს მოსთხოვოს მისი წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთი.
5. ამდენად, სახეზეა სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების კანონით გათვალისწინებული საფუძველი.
6. გადაწყვეტილება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

გადაწყვეტილება გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და მხოლოდ შემდგომ სასამართლოს წესით. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქ.#22, ამასთან, ადმინისტრაციული საჩივრის წერილობითი ფორმით ჩაბარება შესაძლებელია იუსტიციის სახლში (მის.: ქ. თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1), მის ფილიალებსა და საზოგადოებრივ ცენტრებში, ასევე, ფოსტისა და მოქალაქის პორტალის – my.gov.ge-ს მეშვეობით.